პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 34 (4028) 18 თებერვალი, ოთხშაბათი. 1970 წ. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდი უთვალთვალურად ახალგაზრდავდება. ახლა თავისი ურთულესი ელემენტებით სპორტული ტანვარჯიშის სპეციალისტებს აოცებს ქვეყნის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი ო. კორბუტი, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.



# ბრძოლამ გადაწყვიტა

შტრბსკე-პლესო, 16 თებერვალი. უკვე ვიტყობინებოდით, რომ ორჭიდში ხტომის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენი ი. კოზულინი ლიდერობდა. მომდევნო ადგილებზე იყვნენ ი. კაცურა (იაპონია), ე. დამოლინი (იტალია), ვ. დრიაგინი (სსრ კავშირი), ე. კელერი (გფრ) და ნ. ნოგოვიცინი (სსრ კავშირი). გულშემატკივრები ჩემპიონობას, რა თქმა უნდა, კოზულინს უწინასწარმეტყველებდნენ და ამბობდნენ: უარეს შემთხვევაშიც ოქრო ლიდერთა ამ ექვსეულის რომელიმე წარმომადგენელს უნდა დარჩესო.

მაგრამ ისინი, ვისთვისაც ცნობილია ორჭიდის ჩათვლის სისტემა, სულ სხვას ფიქრობდნენ. სპეციალისტებმა იციან, რომ ამ სახეობაში გამარჯვება შეიძლება მას დარჩეს, ვინც 15 კმ-ზე რბოლაში იყოჩაღებს (თუ, რა თქმა უნდა, ხტომაში მეტისმეტად არ ჩამორჩება ლიდერებს).

ამ აზრის სისწორე მსოფლიო ჩემპიონატმაც დაადასტურა. ლიდერი კოზულინი სტარტიდან მე-7 გავიდა. ხტომაში მოპოვებული წარმატების ბოლომდე შენარჩუნებისთვის თუ რბოლაში ვერ გაიმარჯვებდა, მას ამ სახეობაში უძლიერესთან 2 წუთზე მეტი მაინც არ უნდა წაეგო. მაგრამ საბოლოოდ კოზულინმა 54.00,22 აჩვენა მაშინ, როცა... თუმცა სჯობს ბრძოლის მსვლელობას მივყვეთ.

მე-10 კილომეტრიდან დაწინაურდა პრაღელი სტუდენტი ლ. რიგლი, რომელიც ხტომაში მხოლოდ მეცხრე იყო. დისტანციის ეს მონაკვეთი მან 33 წუთსა და 49,98 წამში გაირბინა. საბჭოთა ორჭიდელებიდან საუკეთესომ — დრიაგინმა, რომელსაც 5 კმ-ზე მეორე შედეგი და ჩემპიონის მოპოვების ყველაზე კარგი შანსი ჰქონდა, V ადგილზე გადაინაცვლა. მას თანაგუნდელმა ნოგოვიცინმაც გაუსწრო.

საბოლოოდ რბოლა რიგლმა მოიგო — 50.29,75. მან 41,73 წამით აჯობა ნოგოვიცინს, დრიაგინმა კი 51.32,0 აჩვენა. როცა ორჭიდის შედეგები შეაჯამეს, აღმოჩნდა, რომ რიგლს ხტომაში დანაკარგი გადაჭარბებით აენაზღაურებინა და ოქროს მედალიც მას დარჩა.

აი, რიგლის ტექნიკური შედეგები: ტრამპლინიდან ხტომა — 190,5 ქულა (72,5 და 68,5 მ) + 15 კმ-ზე რბენა — 220 ქულა; სულ — 410,5 ქულა. ვერცხლის მედალი ხვდა ნოგოვიცინს — 195,5 (73,5 და 70,5 მ) + 211,86 — 407,36 ქულა; ბრინჯაო — დრიაგინს — 199,5 (70,5 და 73 მ) + 207,52 — 407,02.

კოლუზინს იმედი გაუცრუვდა. მან საბოლოოდ 389,4 ქულა დააგროვა და VII ადგილზე დარჩა.

შტრბსკე-პლესო, 17 თებერვალი. დღეს მსოფლიო ჩემპიონატის სარბიელზე 15 კმ-ზე მორბენალი ვაჟები გამოეიდნენ. მათ შესანიშნავი ამინდი დაუდგათ. სრიალი ბრწყინვალე იყო. ესაა, რომ ბრძოლას ტრასის მეტისმეტად რთული პროფილი აძნელებდა.

სტარტამდე ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ: ისინი წლეულს ხომ შესანიშნავად გამოდიან და ყველას აინტერესებდა, როგორ შეძლეს ტურნირისთვის ასე მომზადება. 5 კმ-ზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონს გ. კულაკოვას, რომელიც ამ დღეს თანაგუნდელებს გულშემატკივრობდა, არ დაუმალავს:

— ბაკურიანის მადლია. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში მარცხის შემდეგ სინანული გამოთქვა, „თეთრი ოლიმპიადისთვის“ მზადება ბაკურიანში რომ არ ჩაატარა. სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები ამჯერად მთელ ზაფხულს ბაკურიანში ემზადებოდნენ, შესარჩევი შეხვედრებიც იქ გაიმართა.

რასაკვირველია, დიდი როლი შეასრულა ინტენსიურად წვრთნამაც.

... რბოლა დაიწყო. საბჭოთა გუნდიდან მე-12 ნომრით პირველი წავიდა არმიელი საერთაშორისო სპორტის ოსტატი ვ. ტარაკანოვი, რომელმაც რბენა თავიდანვე სწრაფად დაიწყო. 32-ე ნომერი ჰქონდა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში 50 კმ-ზე რბენაში გამარჯვებულს, მოსკოველ საერთაშორისო სპორტის ოსტატს ფ. სიმაშოვს. გუნდის ახალგაზრდა წევრი, იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი, კიროველი სპორტის ოსტატი ი. სკობოვი სტარტიდან 53-ე გავიდა, კიდევ 17 სპორტსმენის შემდეგ კი ბრძოლაში ჩაება მსოფლიო ჩემპიონი ვ. ვედენინი (მოსკოვი).

5 კილომეტრის შემდეგ კარგი შედეგები ჰქონდათ ოლიმპიურ ჩემპიონს გ. გრიონინგენს (ნორვეგია), მის თანაგუნდელ ო. მარტინსენს და ტარაკანოვს, საუკეთესო დრო (14.01,47) კი სიმაშოვმა აჩვენა. ეს კვარტეტი ლიდერობდა 10 კმ-ზეც, ოღონდ ახლა სიმაშოვი თანაგუნდელს 11 წამს უგებდა. ტარაკანოვს გრიონინგენმაც გაუსწრო.

მაგრამ საპრიზო ადგილების ბედი მაინც ბოლო 5 კმ-ზე გადაწყდა. აქ კი შვედებმა და ნორვეგიელებმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს. ფინიშთან პირველი მივიდა სტარტიდან მეორე ნომრით წასული კ. იოკარაინენი (ფინეთი) — 48.39,16. ტარაკანოვმა ეს შედეგი მალე გააუმჯობესა — 48.11,75. ტარაკანოვის მაჩვენებელი ტაბლოზე მანამ იყო პირველი, ვიდრე ფინიშთან სიმაშოვი არ მივიდა. მაგრამ მჯობნის მჯობნი არც აქ დაილია: სიმაშოვს მარტინსენმა (47.38,19) სძლია, მარტინსენს — შვეციის ჩემპიონმა, 25 წლის ლ. ასლუნდმა — 47.04,71. ეს უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. ვერცხლი მარტინსენს დარჩა. სიმაშოვმა ბრინჯაო მოიპოვა, ტარაკანოვმა — VI ადგილი.

## კვლავ ელიტას დაუბრუნდნენ

ჰელსინკი, 16 თებერვალი. „საბჭოთა კავშირის მოთხილამურეები დაუბრუნდნენ ელიტას“, — წერენ ფინეთის სპორტული მიმომხილველები, როცა კომენტარს უკეთებენ მაღალ ტატრებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ვ. ვედენინის გამარჯვებას 30 კმ-ზე რბოლაში. გაზეთ „ჰუვუდსტადბლადეტის“ მიმომხილველი ფიქრობს, რომ ვედენინს შეუძლია გახდეს ახალი კუზინი, რომელმაც 1954 წელს ფალუნაში მსოფლიო ჩემპიონის ორი მედალი მოიპოვა და „თხილამურების მეფის“ ტიტული მიიღო.

ფინური გაზეთები ქებით იხსენიებენ ვერცხლის პრიზიორს გ. გრიმერსაც და, საერთოდ, გდრ-ის სათხილამურო სპორტს, რომელიც აშკარად აღმავლობის გზაზეა.

## ახდენილი ოცნება

სტოკჰოლმი, 16 თებერვალი. დღეს შვეციის ყველა დიდი გაზეთის ფურცლებზე ნახავთ ვ. ვედენინის პორტრეტებს, წერილებს საბჭოთა სპორტსმენზე, მის ინტერვიუსა და პასუხებს კორესპონდენტთა შეკითხვებზე. „დაგენს ნიუჰეტერი“ წერს: „ვედენინმა განახორციელა თავისი მწვრთნელის, წარსულში ცნობილი საბჭოთა მოთხილამურის პ. კოლჩინის ოცნება“. „თავად მე მსოფლიო ჩემპიონი ვერ გავხდი, მაგრამ ამ მიზანს ჩემმა აღზრდილმა მიაღწია“, — მოჰყავთ გაზეთებს 30 კილომეტრზე რბოლაში ახალი მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელის სიტყვები. როგორც გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ წერს, ვედენინი ბევრჯერ ყოფილა შვეციაში და მას აქ მოთხილამურეთა შორის ბევრი მეგობარი ჰყავს.

საბჭოთა კავშირისთვის, — წერს ამ გაზეთის სპორტული მიმომხილველი, — მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში გაიხსნა „სენსაციური გამარჯვებებით და ოქროს მედლებით ტრამპლინიდან ხტომასა და 30 კილომეტრზე რბოლაში“.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებას, რომ დიდი წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური ქვეყნების — სსრ კავშირისა და გდრ-ის წარმომადგენლებმა. ჩრდილოეთ ქვეყნების სპორტსმენებმა კი, რომლებიც ტრადიციულად იმარჯვებდნენ ამ შეჯიბრებებში, პოზიციები დათმეს. ამიერიდან სათხილამურო სპორტი აღარ შეიძლება სკანდინავიის ქვეყნების მონოპოლიად ჩაითვალოს.

# ჩემპიონთა წაგება

კურგანი, 16 თებერვალი. გუშინ აქ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა პირადი ჩემპიონატის ქალთა და ვაჟთა ერთეულების თანრიგებში. ქალთა ერთეულებში იმარჯვეს მოსკოველმა ს. გრინბერგმა (დაამარცხა ვილნიუსელი დ. სემაშკაიტე — 21:13, 21:14, 21:14) და კაუნასელმა ა. სკარულენემ (მოუგო მოსკოველ ლ. გრიშინას — 21:13, 21:17, 21:19).

ვაჟთა ერთეულებში ფინალისტები გახდნენ მოსკოველები ს. გომოზკოვი და ა. ამელინი. პირველმა ნახევარფინალში დაამარცხა ერევნელი ფ. ფილოსიანი — 21:12, 21:18, 21:17, მეორემ — მოსკოველი დ. ბროდსკი — 22:20, 21:15, 9:21, 23:21.

ამრიგად, ბროდსკი და ფილოსიანი მოხვდნენ III-VI ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში. აქ ბროდსკიმ წააგო ბათუმელ ს. სარხოიანთან (0:3), ფილოსიანმა — რიგელ უ. ეგლიტისთან. ახლა ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ სარხოიანი და ეგლიტისი.

ქალთა წყვილების ფინალში გავიდნენ ზ. რუდნოვა და ბ. ანისიმოვა (ორივე — მოსკოვი). ვაჟებში ფინალის საგზური მოიპოვეს ს. სარხოიანმა და ერევნელმა გ. ვარდანიანმა. შერეული წყვილების ფინალში გავიდნენ კაუნასელი ა. გედრაიტიტე და ეგლიტისი. ამ დუეტმა სენსაცია მოახდინა: ნახევარფინალში ფარ-ხმალი დააყრევინა ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონებს — რუდნოვასა და გომოზკოვს (3:1).

დანარჩენი ფინალისტების ვინაობა გვიან საღამოს გაირკვა.

# საპრიზო ადგილებზე

ამას წინათ ვოროშილოვგრადში გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ზამთრის პირველობა მძლეოსნობაში. ამ ტურნირში საქართველოს სპორტსმენებმა რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. სპორტის ოსტატმა ლ. დარახველიძემ სამხტომში 15,63 მ აჩვენა და გაიმარჯვა. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, სპორტის ოსტატმა რ. ქვაჩაკიძემ ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში — 714 სმ.

სპორტის ოსტატმა გ. სტეპანოვმა 50 მ 5,7 წამში გაირბინა და II ადგილზე გავიდა. 16 წლის თბილისელი ა. თამოევი ამავე დისტანციაზე უკონკურსოდ ცდიდა ძალას და ჭაბუკებისთვის საკმაოდ მაღალი შედეგიც (5,8) აჩვენა. 400 მეტრზე რბენაში მეორე იყო სპორტის ოსტატი ტ. ბახტაძე — 51,4 წამი.

საქართველოს კოლექტივმა გუნდურ ჩათვლაში II ჯგუფში II ადგილი დაისაკუთრა.

# ალტაცების სტრიქონები

პრაღა, 16 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის დღევანდელი გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ მსოფლიო ჩემპიონატს სათხილამურო სპორტში. „ურთიერთთანამშრომლობის, მშვიდობისა და მეგობრობის შეხვედრა“, „რესპუბლიკა მსოფლიო ჩემპიონატით ცხოვრობს“, „პირველი ოქრო — საბჭოთა სპორტსმენებს“, „ყოჩაღ, ვედენინ!“, „წინაა კოზულინი“, — ასეთი სათაურებით წერენ გაზეთები შეჯიბრების პირველ დღეებზე, საბჭოთა სპორტსმენთა წარმატებებზე.

გაზეთი „პრაცე“ იუწყება, რომ მაღალ ტატრებში 60 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ეს პირველი შემთხვევაა. „სვობოდნოე სლოვო“ ბეჭდავს ვ. ვედენინის (მოიგო 30 კმ-ზე რბოლა) და გ. ნაპალკოვის (გაიმარჯვა საშუალო ტრამპლინზე) პორტრეტებს, მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს მსოფლიოს ახალ ჩემპიონებზე. „რუდე პრავო“ აქვეყნებს ვედენინის ინტერვიუს, სადაც სპორტსმენი ჰყვება, როგორ ემზადებოდა ჩემპიონატისთვის. „მლადა ფრონტა“ ბეჭდავს ნაპალკოვის პასუხებს კორესპონდენტის შეკითხვებზე.

„რუდე პრავო“ მკითხველებს სთავაზობს რუბრიკას: „ლაპარაკობენ ჩემპიონატის მონაწილეები“. გაზეთი პირველ სიტყვას უთმობს საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის გენერალურ მდივანს ხ. ბერგმანს, რომელიც გულწრფელ მადლობას უხდის მსოფლიო პირველობის სტუმართმოყვარე მასპინძლებს. „ჩემპიონატის ჩინებულად მომზადებისა და გახსნის საზეიმო ცერემონიის ორგანიზაციისთვის, — ამბობს ბერგმანი, — ჩეხოსლოვაკიამ ჭეშმარიტად მადლიერების ოქროს მედალი დაიმსახურა“.

20 თებერვალს

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში (რუსთაველის პრ., № 48) შედგება სპორტული ნაგებობების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი.

დასაწყისი 12 ს.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი.

„ინფორმაცია"

# „დიდ სირთულეთა წინაშე..."

8 მარტს პირველი მატჩია: ცსკა — „შახტიორი" (დონეცკი). ასე ადრე არასოდეს დაწყებულა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი. მარტი, ჩვეულებრივ, სპარინგ-მატჩების პერიოდია, ბოლო წლებში კი „ა" კლასის გუნდები იბრძოდნენ „ენძელას" თასისთვის, რაც არსებითად იგივეა — წინასასეზონო საკონტროლო შეხვედრები.

წლეულს ეს ტრადიციები ირღვევა, ბევრი რამ ახლებურად ჩატარდება, ამიტომ „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდების ხელმძღვანელებს სრულიად განსხვავებულ პირობებში უხდებათ წინასასეზონო მზადება.

მიზეზი? უმთავრესი მიზეზია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების ადრე დაწყება მექსიკაში. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრები ახლა უცხოეთშია საწვრთნელი საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად და ის კლუბები, რომლებმაც ნაკრებს უძლიერესი მოთამაშეები მისცეს, იძულებული არიან შევსება თავიანთი „მეორე ნომრების" ხარჯზე ეძიონ. წვრთნა წვრთნაა, მაგრამ ამავე კლუბებს საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრათა გარკვეული პროცენტის ჩატარება მოუხდებათ აშკარად შესუსტებული შემადგენლობით, რაც, ბუნებრივია, იმოქმედებს მათს საბოლოო შედეგებზე.

სწორედ ამ მდგომარეობაშია ახლა თბილისის „დინამო". მისი წამყვანი მოთამაშეები მ. ხურცილავა, რ. ძოძუაშვილი, ჯ. ასათიანი, გ. ნოდია ნაკრებში შედიან. სრულიად ადვილი შესაძლებელია მათ შეუერთდეს ს. მეტრეველიც, რომელიც, თუ დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ვიმსჯელებთ, თანდათან შედის თავის ნამდვილ საბრძოლო ფორმაში. წარმოიდგინეთ გუნდი, რომელსაც ჩემპიონობის პრეტენზიები აქვს, თამაშებში კი მონაწილეობს განახევრებული შემადგენლობით!

წინასასეზონო მზადებასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ეწვია თბილისის „დინამოს" კოლექტივს და ესაუბრა მის ხელმძღვანელებს — სპორტის დამსახურებულ ოსტატებს გ. ჩოხელსა და ნ. ძიაპშიპას.

— დიდ სირთულეთა წინაშე ვდგავართ, — განაცხადეს ვეტერანებმა. — ყოველი მოთამაშე, თუნდაც სათადარიგო შემადგენლობისა, ჩვენთვის ახლა ძვირად ფასობს. მართალია, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ გარკვეული შეღავათი გააკეთა იმ გუნდებისთვის, რომლებსაც ნაკრებში ჰყავთ თავიანთი მოთამაშეები და ისინი „ნაკლული" შემადგენლობით მხოლოდ შინ ჩაატარებენ შეხვედრებს, მაგრამ ამის იმედით დარჩენა არას გვარგებს. ვთქვათ, იგივე „შახტიორი" ან „არარატი" თბილისის სტადიონზე ძალიან საშიში ძალაა, როცა წამყვანი მოთამაშეები არ გვეყოლება.

— ჩვენს გუნდში ცვლილება თითქმის არ მომხდარა, — ამბობს უფროსი მწვრთნელი გ. ჩოხელი. — იგი იგივეა, რაც შარშან იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზემოხსენებულს, ე. ი. ნაკრების მოთამაშეთა არყოფნას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოგვიხდება ახალგაზრდებს ვანდოთ საპასუხისმგებლო პოსტები. ვინ გვყავს მხედველობაში, როცა ახალგაზრდებს ვახსენებთ? მეკარე გაგოშიძე, მცველები ხინჯიკაშვილი და ქორიძე, ნახევარმცველი ჭითანავა, თავდამსხმელები ქარქაშაძე, ბურჯანაძე, მეავანაძე, მჭედლიშვილი და სხვანი, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა გუნდიდან მოვიდნენ თბილისის „დინამოში". რა თქმა უნდა, მათ დიდი, ძალიან დიდი, დაუღალავი შრომა მართებთ, რომ ნამდვილი ოსტატობის მწვერვალებს მიაღწიონ. იმედი გვაქვს, ახალგაზრდები საამისოდ ძალასა და მონდომებას არ დაიშურებენ.

სულ ახლახან ახალი სიძნელე წამოიჭრა წინასასეზონო მზადებაში. ყველამ იცის, რომ იწყება ქართული კულტურის დღეები სიცილიაში, სადაც თბილისის დინამოელებიც მიემგზავრებიან. ეს ერთობ საპატიო მისიაა, მაგრამ ამავე დროს უკიდურესად საპასუხისმგებლოც. იტალიაში ამჟამად გაცხარებული საფეხბურთო სეზონია, ჩვენში კი იგი ჯერ არც დაწყებულა. აქედან გამომდინარე, შეადარეთ სიცილიელთა ახლანდელი საბრძოლო ფორმა ჩვენსას. ამასთან დაკავშირებით, სერიოზული კორექტივების შეტანა მოგვიხდა გუნდის მოსამზადებელ გეგმაში. ძალთა სრული დაძაბვით, მაქსიმალური დატვირთვით მოგვიწევს თამაში იმ დროს, როცა უნდა ხდებოდეს ფორმაში თანდათან, მეთოდურად შესვლა.

ესეც არაფერი: ახლა, როცა ყოველი საწვრთნელი საათი ოქროს ფასად გვიღირს, საჰაერო მგზავრობა თბილისი — მოსკოვი — პალერმო და უკან, წაგვართმევს, სულ ცოტა, ოთხ საწვრთნელ დღეს, ეს კი შეიძლება ძალიან მძიმედ დაეტყოთ ჩვენს ფეხბურთელებს. დაუმატეთ ისიც, ვისთან გვექნება პირველი 5 მატჩი ამ „უფორმობის" პერიოდში: 15 მარტს მოსკოვის „ტორპედოსთან", 21 მარტს — კიევის „დინამოსთან", 27 მარტს — მოსკოვის „სპარტაკთან", 2 აპრილს — მინსკის „დინამოსთან" და 8 აპრილს — მოსკოვის „დინამოსთან". 25 დღეში 5 ასეთი საპასუხისმგებლო კალენდარული შეხვედრა!

— ასეთ ვითარებაში, — დაასრულა მწვრთნელმა, — ძნელია ილაპარაკო რაიმე გარკვეულ გარანტიებზე, მით უმეტეს, რომ წლეულს საპრიზო ადგილებს გაცილებით მეტი პრეტენდენტი ეყოლება, ვიდრე შარშან. მაგრამ სიძნელეები სხვა გუნდებსაც ხვდებათ, იქაც არის სიახლეები, მათაც მოუწევთ თამაში ნაკრების წევრთა გარეშე, ამიტომ წინასწარ თავის დაზღვევაზე ფიქრიც ზედმეტია. უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ წარმატებით ჩავატაროთ 1970 წლის სეზონი, გამოვასწოროთ ადრინდელი შეცდომები, ფართო გზა მივცეთ ახალგაზრდებს. მწყობრში ჩავაყენოთ ისინი, გამოვიყენოთ ვეტერანთა მაღალი კლასი და დიდი გამოცდილება. იმედი გვაქვს, დინამოელები ამას შეძლებენ.

* * *



რუსთავის „მეტალურგთან" თბილისის „დინამოს" ამახწინანდელი საკონტროლო მატჩის მომენტი.

სურათზე: დინამოელთა კაპიტანი ს. მეტრეველი (№ 9) მოწინააღმდეგე მცველთან ბრძოლის დროს. ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

## საწვრთნელი მატჩები

ლესელიძე (ჩვენი კორ.). აქ გაიმართა საკონტროლო მატჩი მოსკოვისა და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა შორის.

ანგარიში გახსნეს მოსკოველებმა, მაგრამ ხერხაძემ მალე შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. ტაიმის ბოლო წუთზე პაისმა კვლავ დააწინაურა მოსკოველები — 2:1.

შესვენების შემდეგ უპირატესობა მოსკოველების მხარეს იყო და იმავე პაისმა კიდევ ერთხელ აიღო მეტოქეთა კარი. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ქუთაისის „ტორპედომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოგია, წვერავა, ჩხაიძე, სანაია, აბზიანიძე, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი (ქორიძე), ასიტაშვილი, ნაჭყებია, ხერხაძე, ქიქავა.

**დ. თორაძე.**

* * *

შავი ზღვის სანაპიროზე მყოფი „ა" კლასის გუნდები განაგრძობენ საწვრთნელ შეხვედრებს. გაგრაში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო" და როსტოვის არმიელთა გუნდი. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 1:0. მოსკოვის „სპარტაკისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" შეხვედრა გაგრის სტადიონზე დამთავრდა ფრედ — 1:1.

საინტერესო იყო მატჩი ოჩამჩირეში ერევნის „არარატსა" და გორის „დილას" შორის. წარმატება წილად ხვდა „არარატს" — 1:0.

ლესელიძეში თამაშობდნენ დონეცკის „შახტიორი" და ქუთაისის „ტორპედო". მატჩი მოიგო „შახტიორმა" — 3:0.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

## სნაიპერები

თითქმის სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა XXXVII ჩემპიონატი. ამ ხნის მანძილზე ჩატარდა 80 კალენდარული შეხვედრა. მეტოქეებმა სულ „გაიტანეს" 14718 ქულა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საგრძნობლად გაიზარდა როგორც მთლიანად გუნდების, ისე ცალკეულ სნაიპერთა შედეგიანობა. დღეს სწორედ სნაიპერებზე გთავაზობთ ცნობებს.

სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე კალათბურთელები პირობითად ოთხ ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფში გავაერთიანოთ ისინი, ვინც 16 კალენდარულ მატჩში (მხოლოდ თბილისის „დინამომ" და ტარტუს „კალევმა" ჩაატარეს 15-15 შეხვედრა) 300-ზე მეტი ქულა აიღო. მეორე ჯგუფში მოვახვედროთ 200-ქულიანი (და ზევით) სნაიპერები, მესამეში — 100-ქულიანები, ხოლო მეოთხეში — ყველა დანარჩენი.

ყველაზე „ხალვათობა", რა თქმა უნდა, 300-ქულიანთა ჯგუფშია. აქ მოხვდნენ სნაიპერთა შორის ყველაზე ღირსეულნი. 300-ქულიანთა ჯგუფში თითო წარმომადგენელი ჰყავთ ცსკა-ს, „ჟალგირისს", „სტროიტელსა" და „ურალმაშს". 200-ქულიანთა ჯგუფში თავისი სნაიპერებით 9 კოლექტივია წარმოდგენილი, 100-ქულიანთა ჯგუფში კი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე თორმეტივე გუნდი.

ჯგუფების რიცხობრივი შემადგენლობა ასეთია: 300-ანებში — 4 კალათბურთელი, 200-ანებში — 14 და 100-ანებში—47. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდლამდე ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა 157 კალათბურთელმა მიიღო, მეოთხე ჯგუფი ყველაზე ხალხმრავალი აღმოჩნდება — იქ თავმოყრილია 92 კაცი.

გთავაზობთ პირველი ორი ჯგუფის სნაიპერთა ცხრილს:

| | |
|---|---|
| პაულაუსკასი („ჟალგირისი") | 330 |
| პოლივოდა („სტროიტელი") | 319 |
| კანდელი („ურალმაში") | 317 |
| ანდრეევი (ცსკა) | 312 |
| ბოლშაჩოვი („ურალმაში") | 267 |
| ა. ბელოვი („სპარტაკი") | 256 |
| პულავსკი („ბურევესტ.") | 255 |
| ვალტინი („სტროიტელი") | 254 |
| ტომსონი („კალევი") | 241 |
| ტამისტე („კალევი") | 235 |
| პოზდნიაკოვი („ლოკომ.") | 234 |
| ბოლოშევი („დინამო" მოსკ.) | 232 |
| ვეისმანი („ლოკომოტივი") | 223 |
| უგრეხელიძე („დინამო" თბ.) | 214 |
| ბიკოვი („სპარტაკი") | 211 |
| ბიჭიაშვილი („ბურევესტ.") | 210 |
| კრიკუნი („კალევი") | 202 |
| ს. ბელოვი (ცსკა) | 200 |

100-ქულიანთა ჯგუფში ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი თბილისის „დინამო" და კიევის ასკ — 6-6 მონაწილე („დინამო": ქორქია — 140, სხიერელი — 128, ა. ლეჟავა — 118, ბოლქვაძე — 113, საკანდელიძე — 111, მოსეშვილი — 109; ასკ: პოგულიაი — 199, სალუხინი — 184, ეგოროვი — 171, ნოვიკოვი — 158, ოკიპნიაკი — 139, სუშაკი — 122).

შემდეგ მოდიან ლენინგრადის „სპარტაკი" და მოსკოვის „დინამო" — 5-5 მონაწილე („სპარტაკი": შტუკინი — 177, ფიოდოროვი — 130, ლ. ივანოვი — 121, იუმაშევი — 116, ვოლჩკოვი — 108; „დინამო": სოკოლოვი — 180, სოლოგუბი — 164, იზბიცკი — 141, პეტროვი — 132, ცინმანი — 117), კაუნასის „ჟალგირისი", კიევის „სტროიტელი", რიგის ასკ და ალმა-ათის „ლოკომოტივი" — 4-4 მონაწილე („ჟალგირისი": ბუდნიკასი — 186, ვენზბერგასი — 144, ხარპალიუსი — 139, ჟუკაუსკასი — 132; „სტროიტელი": ფილოზოფი — 156, გლადუნი—152, კოვალენკო — 140, სმოლიაკოვი — 126; ასკ: ბალოდისი — 135, ზაბელო — 122, ფრეიმანისი — 119, გ. მუიჟნიეკსი — 104; „ლოკომოტივი": ნიკიშინი — 198, მალაშკინი — 156, ვ. შვედოვი — 116, სუბოტინი — 104), ცსკა და თბილისის „ბურევესტნიკი" — 3-3 მონაწილე (ცსკა: კაპრანოვი — 166, სიდიაკინი — 131, ჟარმუხამედოვი — 102; „ბურევესტნიკი": ჩხიკვაძე — 163, მანაგაძე — 129, გლურჯიძე — 114), სვერდლოვსკის „ურალმაში" — 2 მონაწილე (კოვალიოვი — 128, ჩერნი — 103) და ბოლოს, ტარტუს „კალევი" — 1 მონაწილე (ლიპსო — 159).

## ნაზლიმოვმა სძლია დაუმარცხებელს

ბაქო, 17 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ბოლო ხანებში საბჭოთა მოფარიკავეებს ბადალი არ ჰყავთ მსოფლიოში. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჩვენი მუშკეტერები 1958 წლიდან არც ერთ მსოფლიო და საერთაშორისო ტურნირში არ დამარცხებულან. სადავო არც ისაა, რომ საბჭოთა საფარიკაო სკოლა ჭეშმარიტად პირველია. მაგრამ მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჰავანის შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა, სადაც საბჭოთა მოფარიკავეებმა რვიდან ოქროს 5 მედალი დაისაკუთრეს. ამასთან, არც ერთი მათგანი შინ უმედლოდ არ დაბრუნებულა. ასეთი ტრიუმფი ფარიკაობის ისტორიას არ ახსოვს. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ მსოფლიო ჩემპიონი ის ხდება, ვინც საკავშირო პირველობაში საპრიზო ადგილზეც კი არ გასულა. ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პირველობა სიძლიერით ტოლს არ უდებს მსოფლიო ჩემპიონატსაც კი.

ეს რომ ლიტონი სიტყვები არაა, კიდევ ერთხელ დაადასტურა სსრ კავშირის თასის გათამაშებამ, რომელმაც გუშინ აიღო სტარტი ბაქოს სპორტის სასახლეში. თასის გათამაშებაში ამდენ ძლიერ, კარგად მომზადებულ მეტოქეს მართლაც არასოდეს მოუყრია თავი. არასოდეს ყოფილა ბრძოლა ასე დაძაბული და უშეღავათო. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ამ შეჯიბრების შემდეგ შეირჩევა ქვეყნის იუნიორთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობაში, მარტის ბოლოს მინსკში რომ გაიმართება. მოზრდილთათვის თასის გათამაშება შესარჩევი ტურნირის პირველ ეტაპად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ცნობილი მუშკეტერი სარბიელზე არ გამოსულა, შეჯიბრება მაინც დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. სარბიელი დატოვა ერთ-ერთმა უძლიერესმა ხმლით მოფარიკავემ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ი. რილსკიმ, რომელსაც ახლახან 40 წელი შეუსრულდა. ეს პირველი ოფიციალური შეჯიბრებაა, რომელშიც იგი არ მონაწილეობს. ავადმყოფობის გამო ვერ ასპარეზობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი უ. მავლიხანოვიც.

ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ამ სახეობაში განსაკუთრებით ძლიერნი არიან. თასის გათამაშებაში ოთხი ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა—მ. სახვაძე, ა. გაგულაშვილი, დ. შარაშენიძე და ა. გოგელია. ეს უკანასკნელი შეჯიბრებას წინასწარ შეხვედრებში გამოეთიშა. ახალგაზრდა მუშკეტერებმა გაგულაშვილმა და შარაშენიძემ პირველი საფეხური შედარებით იოლად გაიარეს, მაგრამ მეოთხედფინალში მათაც მაყურებლებში გადაინაცვლეს. პირველობისთვის ბრძოლას ჩვენი გუნდის ვეტერანი მ. სახვაძე აგრძელებდა. იგი ნახევარფინალში გავიდა. მაგრამ კენჭისყრისას ბედმა არ გაუღიმა — ნახევარფინალში ძლიერ ჯგუფში მოხვდა, ფინალისტის ვინაობა მ. სახვაძისა და მ. რაკიტას ბრძოლას უნდა გაერკვია, მაგრამ სახვაძემ თითქმის უბრძოლველად დათმო შეხვედრა და საბოლოოდ VII ადგილს დასჯერდა. ეს არც ისე ცუდი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სსრ კავშირის ნაკრებში მოსახვედრად იგი საკმაო ქულებს იძლევა.

ფინალში გავიდა 6 უძლიერესი მოფარიკავე — ლენინგრადელები ე. ვინოკუროვი და ბ. მელნიკოვი, მოსკოველი ა. გლაზოვი, ბელორუსიელი ვ. სიდიაკი და რსფსრ-ს ორი წარმომადგენელი — ვ. ნაზლიმოვი და მ. რაკიტა.

ფინალში თავიდანვე დაწინაურდნენ ნაზლიმოვი და სიდიაკი. ცნობილია, რომ სიდიაკი ჰავანის მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულია და ამ ბოლო დროს არც ერთ საერთაშორისო ტურნირში არ დამარცხებულა. იგი მართლაც ჩემპიონურად იბრძოდა, მაგრამ ამ დღეს მაინც განუმეორებელი იყო ნაზლიმოვი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე და მისი გამარჯვება სავსებით კანონზომიერი გახლდათ. II ადგილზე გავიდა სიდიაკი, III — მელნიკოვი. ექვსეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ვინოკუროვი, რაკიტა, გლაზოვი.

დღეს ასპარეზობაში ჩაებნენ რაპირით მოფარიკავე ქალები.

**ა. გოგელია,**
სპორტის ოსტატი.

ფარიკაობა

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — თ. ბენდიანიშვილს, ო. მჭედლიშვილს (ორივე — თბილისის „დინამო"); **ველოსპორტში** — მ. იმნაძეს (თბილისის „სპარტაკი"), ა. ოსტაპენკოს (ხაშურის „ლოკომოტივი"); **აკრობატიკაში** — კ. იაკუბიანს (თბილისის „განთიადი"), მ. ჯანეზაშვილს, თ. ბზიშვილს (ორივე — თბილისის „შრომითი რეზერვები"); **ტანვარჯიშში** — ი. ვოლოსატოვას, ვ. კოზიევას (ორივე — თბილისის „განთიადი"); **ფარიკაობაში** — გ. გაბაძეს, ქ. გაბაძეს (ორივე — რუსთავი), ვ. ქერაშვილს (თბილისის „სპარტაკი"); **საცხენოსნო სპორტში** — ვ. ბერეჟნოის, ი. გირუნს, მ. კიკიანს (სამივე — თბილისის „სპარტაკი"); **ძალოსნობაში** — ა. კიადიკოვს (თბილისის „განთიადი").

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ათასობით მოთხილამურე და ტურისტი აწყობს ლაშქრობას ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში.

სურათზე: ტურისტი-მოთხილამურეები ილიჩოვოში, სახლთან, სადაც ვ. ი. ლენინი დროებითი მთავრობის ჯაშუშებს ემალებოდა.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.

# მამაცთა ალღუმი

როვნო, 16 თებერვალი. სპორტული ალმებით მორთულ მოედანზე მწყობრში მიაბიჯებენ მომავალი მეომრები, ჰაერს ჯარისკაცული სიმღერები არხევს... ალღუმით დაიწყო როვნოს ოლქის წვევამდელთა სპარტაკიადა.

სტარტზე გამოვიდნენ ყველაზე ძლიერნი იმ ათასი ჭაბუკიდან, რომლებმაც ეს უფლება რაიონულ შეჯიბრებებში მოიპოვეს. მრავალფეროვანი იყო „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსის პროგრამით გამართული ტურნირები. მომავალი ჯარისკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სათხილამურო სპორტში, სროლაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ტანვარჯიშში...

სპარტაკიადის პერიოდში 7 ათასზე მეტმა ჭაბუკმა შეასრულა ნორმატივები და მიიღო სამკერდე ნიშანი „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად". საბრძოლო დიდების ადგილებში მოწყობილ სათხილამურო ლაშქრობებში თითქმის 5 ათასი კაცი მონაწილეობდა.

როვნოს სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლე ვ. ბელინსკი ყველაზე ზუსტი მსროლელი აღმოჩნდა. ტირში კარგად გამოვიდნენ, აგრეთვე, როვნოელი მოსწავლეები ნ. ალტუხოვი და ნ. ბებეშკო. განსაკუთრებით კარგი სამხედრო-სპორტული მომზადება გამოავლინეს როვნოს საფეიქრო და ავტოსაგზაო ტექნიკუმების მოსწავლეებმა.

# ბავშვები ჩვენზე ლამაზები იქნებიან

ერთხელ, როგორღაც, მომიხდა ფიზკულტურის გაკვეთილს დავსწრებოდი ლიტვის ერთ-ერთ სკოლაში. რბენა, რთული ვარჯიშები მოქნილობისა და ორიენტაციის გამოსამუშავებლად, კვლავ რბენა, თამაში: „ორნი ორის წინააღმდეგ" და „გუნდი გუნდის წინააღმდეგ". პატარა შესვენება და კვლავ ყველაფერი თავიდან...

დაახლოებით ასე (და ისიც ყოველდღიურად არა) ვარჯიშობდა ლიტვის კალათბურთელთა ნაკრები, როცა მან 1937 და 1939 წლებში ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ამ სკოლის სასწავლო გეგმებში კი ფიზკულტურას ახლა კვირაში 6 გაკვეთილი ეთმობა. თუმცა, ასეთი სკოლა ლიტვაში ჯერ მხოლოდ სამია — სამივე ექსპერიმენტული.

თვით ეს ექსპერიმენტი დიდი ხნის წინ დაიწყო.

ლიტვის თითქმის ყველა სკოლის 10 ათასი მოსწავლე შეისწავლა კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ვალერია სტაკიონენემ. მის მიერ შედგენილმა დიდმა და რთულმა ანკეტებმა განსაზღვრეს ფიზიკური განვითარების სურათი თითოეულ მათგანში. შემდგომში მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების გამოკვლევები ჩვეულებრივ ამბად იქცა რესპუბლიკის პედაგოგიურ საქმიანობაში. დაგროვდა ძვირფასი მასალა, რომელმაც საშუალება მისცა ლიტვის პედაგოგებს პიროვნების ფორმირების პროცესისთვის შეეხედათ ახალი, მანამდე ნაკლებად შესწავლილი პოზიციებიდან.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ პიროვნების ჰარმონიაზე და ზოგჯერ არც კი ვცდილობთ გავერკვეთ, თუ რაზეა დამოკიდებული ეს ჰარმონია. სულიერ სილამაზეზე? დიახ. ინტელექტუალურ საწყისებზე? რა თქმა უნდა. ფიზიკურ სრულყოფაზე? უდავოდ.

მაგრამ რატომაა, რომ ბუნება ნიჭიერ პიროვნებებს ხშირად აკლებს ფიზიკურ თვისებებს? ჩვენ საუკუნეებით ვქმნიდით სისტემებს, რომელთა მიხედვითაც ვამდიდრებთ საკუთარ ცოდნას, მაგრამ დღემდე ხეირიანად არ ვიცით, როგორ უფრო რაციონალურად უნდა მივაღწიოთ ფიზიკურ სრულყოფას...

და აი, ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგემ ვ. სტაკიონენემ თავის თანამშრომლებთან ერთად ხელი მოჰკიდა მოსწავლეთა ფიზიკური სრულყოფის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავებას. როგორც უკვე ითქვა, მრავალი წლის დაკვირვებებმა შექმნა შესაძლებლობა დაეგროვებინათ საჭირო ინფორმაციები ბავშვთა ფიზიკურ განვითარებაზე სხვადასხვა ასაკში, მათ ფსიქიკაზე, სწავლაზე და ა. შ. ეს ინფორმაციები გამომთვლელი მანქანებით დაამუშავეს მათემატიკური სტატისტიკის ზუსტი წესებით. მათი მონაცემების საფუძველზე ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს ცხრილები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა ფიზიკური სრულყოფის შეფასებას. ლიტვის განათლების სამინისტროს მითითებით, ამ ცხრილებს უკვე იყენებენ რესპუბლიკის ყველა სკოლაში.

რას ნიშნავს ეს? აი, მაგალითი: ბიჭი 11 წლისაა, სიმაღლე — 145 სმ, წონა — 36 კგ. 60 მეტრი მან უნდა გაირბინოს 10,4 წამში, ჩოგბურთის ბურთი ისროლოს 30 მეტრზე, სიმაღლეზე გადახტეს 95 სანტიმეტრზე და ა. შ. თუ ბიჭი უფრო ნაკლები ან მეტია სიმაღლით (მაგრამ ბიოლოგიური ნორმების ფარგლებში), შესაბამისად იცვლება მოთხოვნებიც.

მაგრამ გაზაფხულისთვის ბავშვი გაიზარდა, წონაში მოიმატა. იგი უფრო სწრაფი, მოქნილი და ღონიერი გახდა. მას კვლავ ცხრილები აფასებენ.

— შეფასებებს ფიზკულტურის გაკვეთილებზე ვიძლევით არა ზერელე შეხედვით, არამედ ობიექტურ ნორმატივებზე დაყრდნობით, — ამიხსნა ფიზკულტურის ერთ-ერთმა მასწავლებელმა. — მეორეც, და ეს განსაკუთრებით შესამჩნევია უფროს კლასებში, არიან შედარებით ტანადი და ტანმორჩილი ბავშვები. ვინ უფრო სრულყოფილია მათგან ფიზიკურად? ის, ვინც უფრო ტანმაღალია და უფრო მაღლა ხტება, მეტ სიმძიმეს წევს, უფრო სწრაფად დარბის? არა. შეიძლება ორივე ათლეტურად განვითარებული იყოს, მაგრამ მათი ფიზიკური განვითარების შეფასებაში ხელმძღვანელობენ სტაკიონენეს შრომებით.

მასწავლებელი ღებულობს მუდმივ ინფორმაციას მოსწავლის ფიზიკურ პროგრესზე (ან რეგრესზე), ზრდის ან ამცირებს დატვირთვას, შეუძლია განავითაროს ერთი თვისება და შეაფერხოს მეორის განვითარება.

როცა ლიტვის მოსწავლეთა ფიზიკური მდგომარეობის დღევანდელი დახასიათებები 8 წლის წინანდელს შეადარეს, კაუნასელმა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ბავშვთა ფიზიკური განვითარება გაუმჯობესდა, მაგრამ შესუსტდა ფიზიკური მომზადება. ახლა ბავშვები უფრო ტანმაღალი აღმოჩნდნენ, სხეულს უფრო სწორი ფორმები მიეცა, მაგრამ მათ აშკარად არ ჰყოფნით გამძლეობა და სისწრაფე.

აი, სწორედ მაშინ შეიქმნა 3 ექსპერიმენტული სკოლა, რომლებზეც თავიდან დავიწყეთ თხრობა. მეცნიერები ახლა აკვირდებიან, როგორ მოქმედებს გაზრდილი ფიზიკური დატვირთვა მოსწავლის გულება-გახწყობაზე, სწავლაზე, საერთო განვითარებაზე. პირველმა შედეგებმა უკვე დაადასტურა იდეა, რომ საჭიროა გაიზარდოს ფიზკულტურის გაკვეთილების რაოდენობა.

22 წლის დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების შედეგები ვ. სტაკიონენემ განაზოგადა და ჩამოაყალიბა სადოქტორო დისერტაციაში. მაგრამ, როცა ბოლო ფურცელი გადაშალა, იგი ჩაფიქრდა.

— ვგრძნობ, რომ ნამდვილი მუშაობა მხოლოდ ახლა იწყება, — ამბობს იგი. — წამოიჭრა ასეული ახალი პრობლემა, აი, თუნდაც ასეთი: ბიჭებისთვის გამოსადეგმა ფიზიკურმა ვარჯიშებმა შეიძლება ზიანი მიაყენონ გოგონას სხეულის განვითარების სილამაზეს. ახლა საშუალება არა გვაქვს ცალკე ჩავატაროთ ფიზკულტურის გაკვეთილები გოგონებისა და ბიჭებისთვის, ესე იგი, საჭიროა ვეძიოთ ახალი გზები. ან, დააკვირდით, როგორ დადიან ჩვენი ბავშვები, თვითონ ჩვენც, როგორ ვსხდებით, როგორ ვდგავართ? მოძრაობათა სილამაზის გამომუშავება ფიზკულტურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. მაგრამ აქ ჩვენ გვაკლია მეთოდიკა, მის შესაქმნელად კი უნდა ვაწარმოოთ დაკვირვებანი, დავაგროვოთ და გავაანალიზოთ ინფორმაცია...

ვ. სტაკიონენეს წამოწყებულმა საქმემ უკვე მოგვცა შესანიშნავი ნაყოფი. ლიტვის სკოლებმა დახახმარებლად მოუხმეს ფიზკულტურას და მის უახლეს მიღწევებს. შეიძლება, ამან ხელი არ შეუწყოს ტანმაღალი კალათბურთელების, სწრაფი მორბენლებისა და ღონიერი ათლეტების აღზრდას რესპუბლიკაში, მაგრამ ბავშვები უდავოდ უფრო ღონივრები, მოქნილები და ლამაზები იქნებიან, ვიდრე მათი მშობლები.

ბ. ბუჩიალისი.

(ლიტვის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

კაუნასი.

# ვიმპელები რიბალსკის თავზე

კიევი, 16 თებერვალი. „შრომისა და დღეგრძელობისთვის" — ასეთია დევიზი, რომელიც კიევის რევოლუციური და შრომითი ტრადიციებით განთქმული ქარხნის „ლენინსკაია კუზნიცას" ფიზკულტურელთა რაზმის დროშაზეა ამოქარგული. სწორედ ამ დევიზით აიღო სტარტი საწარმოს სპარტაკიადამ. ასპარეზობის პროგრამა უაღრესად ვრცელია, მაგრამ განსაკუთრებულ პატივს მაინც სპორტის საწყლოსნო სახეობებს სცემენ. ეს არც გასაკვირია: „ლენინსკაია კუზნიცას" გემთსაშენი საამქროები რიბალსკის კუნძულზეა განლაგებული. ხალხი აქ შრომობს და აქვე ცხოვრობს. აქაური სპორტსმენები თავგამოდებული ზღვაოსნები არიან.

მაგრამ ქარხნის სპორტსმენები სტადიონების მწვანე გაზონებზე, სათამაშო მოედნებზე და მთის ბილიკებზეც კარგად გრძნობენ თავს. მთელი ქარხანა იცნობს ხარატ გ. ჩუმას — საზოგადოებრივ მწვრთნელს მთამსვლელობაში. იგი იშვიათი პროფესიის წარმომადგენელია — სამთო მაშველი. ჩუმა პროფკავშირების შარშანდელი ჩემპიონიცაა.

თავიანთი ძალისა და მოქნილობის დასამტკიცებლად ქარხნის სპორტსმენებს აუცილებლად არ მიაჩნიათ ღრუბელთმიერი მწვერვალების დაპყრობა. ყოველ საამქროში შესვენების დროს ტარდება ძალოსანთა იმპროვიზებული ტურნირები ორფუთიანი საწონების აწევაში.

ჯერ კიდევ 1966 წელს ამ საწარმოს აფროსნებმა თავისი ხელით ააგეს საბჭოთა კავშირში პირველი საკრეისერო იახტა — კატამარანი „პერუნი". მას შემდეგ აფრიანი ნავი შავი ზღვის ბევრ ნავსადგურს ეწვია. კიეველების ფლოტილიაში შედის 70 საქირნო ნავი, ათობით კატარღა და სკუტერი. რა გასაკვირია, რომ ზაფხულობით თითქმის ნახევარი ქარხანა საცურაოდაა გასული.

დნეპრის წყალზე ვარჯიშობენ ქარხნის სექციის აღზრდილი აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატები, რომელთაც ა. და გ. ხრანოვსკები ხელმძღვანელობენ. ვაჟთა ოთხადგილიანმა მესაჭიანმა ნავმა (მომსმელი ო. კატკო) ევროპის პირველობის ფინალში მიიღო მონაწილეობა, გამოვიდა ბევრ საერთაშორისო რეგატაში. ქალთა ოთხადგილიანი ნავი მესაჭით უკრაინის ჩემპიონი და სსრ კავშირის პროფკავშირთა IX სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორია.

ქარხანაში შრომა და სპორტი კარგად ავსებენ ერთმანეთს. საუკეთესო ფიზკულტურელები, როგორც წესი, შრომაშიც პირველნი არიან. მაგალითად, მოწინავენი არიან სპორტის ოსტატი ტანვარჯიშში ლ. ტელნოვა, ერთ-ერთი საუკეთესო მოთხილამურე ვ. გაიდაკი...

ქარხანა სამართლიანად ამაყობს თავისი სპორტული გვარდიით, რომელიც 15 სპორტის ოსტატს, 45 ოსტატობის კანდიდატსა და პირველთანრიგოსანს, 176 საზოგადოებრივ ინსტრუქტორს ითვლის. მაგრამ მთავარია, რომ ეს გვარდია ჯანმრთელობის მხარეში გზას უკაფავს ფიზკულტურელთა მთელ არმიას.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

# გოლიათები კოლმეურნეობიდან

დონეცკი, 16 თებერვალი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მომავალ საკავშირო ჩემპიონატში გამოვლენ ა. ჩაპლი, ვ. ლევჩენკო, თ. სტამბულჯი, ი. შუიუპოვი, რომელთაც ტურნირის საგზურები დონეცკის ოლქის ვოლოდარის რაიონის კოლმეურნეობა „რასვეტის" გამგეობამ მისცა.

„რასვეტს" სამართლიანადეძახიან გოლიათების კოლმეურნეობას. თავისუფალი ჭიდაობა ამ სოფლის მცხოვრებთა საყვარელი გასართობია. აქ 12 სპორტის ოსტატი და ბევრი თანრიგოსანი ჰყავთ.

პირველი ოსტატები ძმები პატრიჩები გახდნენ. იურიმ რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა, უმაღლესი განათლება მიიღო და ახლა ჟდანოვის მეტალურგიული ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრას ხელმძღვანელობს. ამავე კათედრაზე მუშაობს ალექსანდრეც. ძმები მშობლიური სოფლის ხშირი სტუმრები არიან — ახალგაზრდა მოჭიდავეებს ეხმარებიან.

სოფლის სპორტსმენებს წვრთნის სპორტის ოსტატი ს. მაკმაკი. მან ადგილობრივი სკოლა დაამთავრა, შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიდა, დიპლომი მიიღო და თანასოფლელებს დაუბრუნდა. სექციაში, რომელსაც მაკმაკი ხელმძღვანელობს, 50 ჭაბუკია გაერთიანებული.

კოლმეურნეები ხშირად აწყობენ სპორტულ დღესასწაულებს.

# თოთხმეტი ათასი მოწმე

ზოგჯერ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები ლითონის, ხის, პლასტმასის სულ პატარა, უტყვ ნიშნებზე აისახება ხოლმე. მაგალითად, ერთ-ერთ ნიშანს „ახსოვს" მოციგურავეთა პირველი პრიზის გათამაშება მოსკოვში 1892 წელს, მეორეს — გატჩინსკის საფრენოსნო სკოლის პირველი გამოშვება და სახელგანთქმული რუსი მფრინავი პეტრე ნესტეროვი, მესამეს—რუსი სპორტსმენების მონაწილეობა 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში. ყველა იმ უნიკალური ნიშნის ჩამოთვლა, რაც მოსკოველი ა. ლიაპონის კოლექციაშია დაცული, შეუძლებელია. მათი რიცხვი 14 ათასს აღემატება.

ლიაპონის კოლექციის თავისებურება ისაა, რომ ექსპონატების უმეტესობა მეგობრების, ნაცნობების, ნათესავების საჩუქარია. ნიშნები მოჰქონდათ ექიმის პაციენტებსაც, რომლებიც შემთხვევით შეიტყობდნენ ხოლმე მისი გატაცების ამბავს. ყველაზე მეტი ნიშანი სპორტულია. ისინი განყოფილებებადაც კია დაყოფილი. მაგალითად, თავდაცვით სამკერდე ნიშნებში შედის ვოროშილოველი მსროლელის ნიშანი, სერია ნიშნებისა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" და სხვ. აქვეა ტურისტული, ჩვენი სპარტაკიადებისა და ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი ექსპონატები.

— სწორედ ამ სამკერდე ნიშნებმა შემაყვარეს სპორტი, — ამტკიცებს კოლექციონერი. 48 წლის კაცს უყვარს თხილამურებით სრიალი, ციგურაობა, ცურვა.

ა. პერეპელიცა.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

# ნარევი

ტიუმენი, 17 თებერვალი. სოფელ უსტენკაში შენდება სპორტის სახლი, სადაც იქნება ფრენბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის დარბაზები და ორბილიკიანი საცურაო აუზი. ეს პირველი სასოფლო სპორტული სახლია ტიუმენის ოლქში. იგი მოემსახურება მომავალ მექანიზატორებს — ადგილობრივი პროფტექსასწავლებლის მოსწავლეებს და სოფლის ახალგაზრდობას.

• • •

ნალჩიკი, 17 თებერვალი. მწყობრში ჩადგა იალბუზის ქანქარიანი საბაგირო გზის პირველი რიგი. მისი სიგრძე 1830 მეტრია, სიმაღლეთა სხვაობა — 850 მ. ყოველი ჯიხური 30 კაცისთვისაა გათვალისწინებული. ახლა მთების მოყვარულებს მხოლოდ 6 წუთი დასჭირდებათ, რათა 3 კილომეტრზე მაღლა ავიდნენ.

• • •

ორიოლი, 17 თებერვალი. მეთევზეებისთვის ორიგინალური სანათი გამოიგონეს ორლოვსკის ადგილობრივი მრეწველობის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტებმა. ახალი ფარანი პორტატულია და მოხერხებულია, ძლიერი ქარისა და წვიმის დროს არ ქრება. საკმარისია მაგარი პარაფინის 20 გრამი, რომ ფარანი ორ-სამ ღამეს ენთოს. მას გამოიყენებენ როგორც ნაპირზე, ისე ნავით თევზაობისას.

# 16 ფინალისტის საქმენი



## ის, რაც აქამდე მოხდა...

ის, რაც აქამდე მოხდა, ესაა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები, რომლებმაც გამოავლინა 14 ფინალისტი (2 ადრევე იყო ცნობილი).

ეს სტატისტიკური მასალა გამოაქვეყნდა ფიფა-ს ბიულეტენში. ე. წ. საკვალიფიკაციო ტურნირში სულ მონაწილეობა მიიღო 71 ქვეყანამ: 12 აფრიკიდან, 13 — ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკიდან და კარიბის ზღვის აუზიდან, 10 — სამხრეთ ამერიკიდან, 4 — აზიიდან, 30 — ევროპიდან და 2 — ოკეანიიდან.

სულ ნათამაშევია 172 საკვალიფიკაციო მატჩი: 79 — ევროპაში, 24 — სამხრეთ ამერიკაში, 32 — ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზში, 13 — აზიასა და ოკეანიაში, 24 — აფრიკაში.

ყველაზე მეტი მატჩის ჩატარება მოუხდათ სალვადორსა და მაროკოს — 10-10, შემდეგ ჩეხოსლოვაკიას — 7, რუმინეთს, ბელგიას, გფრ-ს, ბულგარეთსა და ბრაზილიას — 6-6.

## 2 მარკა

მსოფლიო პირველობის ფინალთან დაკავშირებით მექსიკაში გამოუშვეს 2 საფოსტო მარკა 80 სენტავოს და 2 პესოს ღირებულებით. მათზე გამოხატულია ჭრელი ბურთები.

## საკვირველი თხოვნა

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში 30 არბიტრმა უნდა იმსაჯოს. 18 არბიტრი იქნება იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ფინალში გავიდნენ და 12—ნეიტრალური ქვეყნებიდან.

ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ აბა, ვინ იცის, რომ მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა იტალიელ კოლეგებს: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ლობელოს ნაცვლად სიაში სხვარდილა შეიყვანონ?

რითია მოტივირებული ეს საკვირველი თხოვნა? „ლობელო ზედმეტად მკაცრია მინდორზე", — წერენ მექსიკელები.

## ფიფა უარყოფს

ფიფა-მ უარყო ერთ-ერთი უცხოური სააგენტოს ცნობა იმის თაობაზე, რომ, თუ თავიანთ ჯგუფში II ადგილზე გავლენ მექსიკელი ფეხბურთელები, მეოთხედფინალურ მატჩს ითამაშებენ არა ტოლუკაში, არამედ დედაქალაქში, „აცტეკის" სტადიონზე.

ფეხბურთის უმაღლესი ორგანო იუწყება, რომ ყველაფერი ჩატვლის წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

## შეიცვლება სისტემა?

ზაგრების (იუგოსლავია) გაზეთ „სპორტსკა ნოვოსტის" კორესპონდენტთან საუბარში ფიფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა და მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა მ. ანდრეევიჩმა განაცხადა:

— მსოფლიო პირველობის ფინალური სტადიის ჩატარების ახლანდელი წესი შორსაა იდეალურისგან, არის რამდენიმე საყურადღებო ვარიანტი მისი რეორგანიზების შესახებ და, ვფიქრობთ, მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში ძველი სისტემით უკანასკნელად ჩატარდება.

## დოტაცია — 120.000 დოლარი

სალვადორის ხელისუფლებამ 120.000 დოლარი გამოყო მექსიკის ტურნირისთვის ნაკრების მოსამზადებელი ხარჯების დასაფარავად. გუნდის 22 წევრი ადრევე შეიკრიბა თავისი მწვრთნელის გრეგორიო ბუნდიოს ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ, უკვე 4 მაისს, ჩავა მექსიკაში, რათა გაიაროს საჭირო აკლიმატიზაცია.

## ჟურნალისტების — 600

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა სხვადასხვა ქვეყნიდან მიიღო მოთხოვნა ჟურნალისტურ აკრედიტაცია უყოს 600 ჟურნალისტს. ეს სია ყოველდღიურად იზრდება.




---

ჟურნალმა „ლიოგკაია ატლეტიკამ" მოაწყო გამოკითხვა, რომლის მონაწილეთ უნდა დაესახელებინათ სამოციანი წლების 10 საუკეთესო მძლეოსანი. ესაა რომის, ტოკიოს, მეხიკოს ოლიმპიადებში მძლეოსნობის არნახული აღმავლობის პერიოდი, როცა უამრავი მსოფლიო რეკორდი დამყარდა, იშვა ახალი შეჯიბრებები, „სპორტის დედოფალი" კიდევ უფრო პოპულარული გახდა.

გამოკითხვაში ჩვენი ქვეყნის 30 ჟურნალ-გაზეთის, სააგენტოების, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. I ადგილზე დასახელებულ სპორტსმენს 10 ქულა ეწერებოდა, II ადგილზე დასახელებულს— 9 და ა. შ.

## ბრუმელი — პირველი

როცა გამოკითხვის შედეგები შეჯამდა, ათწლეულის საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი ვ. ბრუმელი. მას 334 ქულა დაუგროვდა.

II ადგილზე გავიდა ოთხი ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი, ამერიკელი ბადროს მტყორცნელი ა. ორტერი — 223 ქულა. III ადგილზეა სიგრძეზე ხტომაში ფენომენალური მსოფლიო რეკორდის ავტორი და მეხიკოს ოლიმპიადის [illegible] ბ. ბიმონი (აშშ) — 164, IV — ეთიოპიელი მარათონელი ა. ბიკილა, V — ავსტრალიელი სტაიერი რ. კლარკი, VI — ბირთვის კვრაში მსოფლიოს რეკორდსმენი ნ. ჩიჟოვა.

შემდეგ მოდიან ახალზელანდიელი სტაიერი პ. სნელი, უროს მტყორცნელი რ. კლიმი (სსრ კავშირი), ამერიკელი სპრინტერი ვილმა რუდოლფი, პოლონელი სამხტომელი ი. შმიდტი.

25 საუკეთესოს შორის მოხვდნენ, აგრეთვე, საბჭოთა სპორტსმენები ი. ლუსისი, ვ. სანეევი, თ. პრესი, ა. ბონდარჩუკი.

## ჯანმრთელობის საზიანოდ

ექიმმა ჯანესტრასმა განგაში ატეხა. იგი ფიქრობს, რომ კალათბურთითა და ამერიკული ფეხბურთით გატაცება დიდ ზიანს მოუტანს ბავშვებს. განვითარების პროცესში მყოფ ბავშვის ორგანიზმს არ შეუძლია ასეთი დიდი დატვირთვა გადაიტანოს და ამიტომ აუცილებელია უმკაცრესი საზღვრები დავაწესოთ.

„სხვების დაჯაბნის წყურვილმა, გამარჯვების სურვილმა, პირველ ყოვლისა, მეტოქეობის ატმოსფერომ, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებენ პატივმოყვარე მშობლები და მწვრთნელები, კალათბურთი და ამერიკული ფეხბურთი ბავშვების ჯანმრთელობისთვის სახიფათოდ აქცია. ეს განსაკუთრებით ითქმის 8-დან 14 წლის ასაკის ნიჭიერ ბავშვებზე", — ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ცინცინატელ სპეციალისტს, ექიმ ნ. ჯანესტრასს. იგი ცუდს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ბავშვები ამ ორი სახეობით იყვნენ გატაცებული, მაგრამ მიაჩნია, რომ ნიჭიერ ნორჩ სპორტსმენთა ჯანმრთელობისთვის აუცილებელია დოზების დაცვა. ჯანესტრასი განსაკუთრებით შეშფოთებულია კალათბურთში მოსალოდნელი საფრთხით, რომელსაც „სნაიპერის იდაყვი" უწოდა.

ჯანესტრასი ამერიკული ფეხბურთის გუნდის ექიმია ცინცინატის უნივერსიტეტში და გამოცდილება აქვს სპორტის ამ სახეობაში. ამერიკული ფეხბურთი რეგბის ჰგავს, მაგრამ აქ 11-კაციანი გუნდები იბრძვიან, ხოლო თამაშის წესები გაცილებით მკაცრია.

ექიმმა განაცხადა, რომ ბავშვების შეჯიბრებები ამერიკულ ფეხბურთში სანიტარული ნორმების მკაცრი დაცვით უნდა ტარდებოდეს, ისევე როგორც კალათბურთელთა სასკოლო გუნდების შეჯიბრება, რაც უდიდეს ინტერესს იწვევს ხოლმე.

კერძოდ, ექიმი ჯანესტრასი იძლევა წინადადებას, 12 წელზე ნაკლები ასაკის ყველა ბავშვს აუკრძალონ მონაწილეობა შეჯიბრებებში, რომლებიც ამ ორ სახეობაში მრავლად ტარდება სხვადასხვა ქალაქში ათასგვარი წინასწარი ტურნირებითა და ფინალებით, დიდი რეკლამითა და ხმაურით. ამ შეჯიბრებათა გარემო ბავშვებში გამარჯვების წყურვილს ამძაფრებს და უაღრესად ძაბავს მათ. ზოგიერთ ამგვარ შეჯიბრებაში 600 ათასამდე ბავშვი მონაწილეობს. შემდეგ ექიმი ჯანესტრასი აცხადებს, რომ საზიანოა მოსწავლეთა შეჯიბრებები კალათბურთის კალათში ბურთის ტყორცნაში, რაც ძალიან გავრცელებულია ამერიკაში. ტყორცნის დროს ცალი ხელით შესრულებულმა ერთფეროვანმა მოძრაობამ შეიძლება არასასურველი ცვლილებები გამოიწვიოს იდაყვის სახსარში. ამიტომ ადრეულ ასაკში (14 წლამდე) ბავშვებს ამგვარი შეჯიბრებები უნდა ავუკრძალოთ.

ექიმი ჯანესტრასი თავის დროზე თავად მკურნალობდა ამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთ ბრწყინვალე ოსტატს, „დოდჯერსის" მოთამაშეს სენდი კოუფაქს, როცა ეს უკანასკნელი ცინცინატის უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა. ექიმი ამტკიცებს, რომ იდაყვის სახსრის ართრიტი, რომელმაც სახელგანთქმულ ცაციას კალათბურთი დაატოვებინა, შესაძლებელია გამოიწვია სწორედ ზედმეტმა დატვირთვამ იმ დროს, როცა სენდი კოუფა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. „სნაიპერის იდაყვი", — ხაზგასმით აღნიშნავს ჯანესტრასი, საერთო სამწუხარო მოვლენაა ნორჩ კალათბურთელებში. ამას წინათ უმცროსი ასაკის (9-14 წელი) ბიჭების ლიგის 162 მოთამაშის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათგან 25 პროცენტს იდაყვის სახსარში აშკარა ცვლილებები ეტყობა. ამასთან, მთელ რიგ შემთხვევებში შეინიშნება ართრიტის საწყისი ფორმა და ხრტილის გადაგვარება".

## ახალი ამბები

● **მოსკოვი, 16 თებერვალი.** დღეს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის — ადგილობრივი „სპარტაკისა" და ლენინგრადის არმიელ ჰოკეისტთა შორის. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 10:7. ამრიგად, ფინალში (19 თებერვალს) ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის გუნდები — „დინამო" და „სპარტაკი".

● *ლოს-ანჯელესი, 16 თებერვალი.* წლეულს სარბიელზე პირველად გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი რ. მატსონი (აშშ) — მან გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის" ტრადიციულ მძლეოსნურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. „დებიუტი" საუცხოო გამოდგა: მატსონმა 20,27 მეტრზე ჰკრა ბირთვი, რაც დარბაზებისთვის საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში. სიმაღლეზე მხტომელთა შეჯიბრება ძალიან საინტერესო იყო: მან გამარჯვება მოუტანა 23 წლის შვედ ქ. ლიუნდმარკს, რომელმაც პირველივე ცდით დაძლია 216 სმ. ასეთივე სიმაღლეს გადაევლო ამერიკელი რ. ბრაუნი, მაგრამ მას მეტი ცდა დასჭირდა. 213 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა ო. ბარელმა. ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა დ. რაილსბეკმა — 520 სმ. სამხტომში გაიმარჯვა მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, იტალიელმა ჯ. ჯენტილემ — 15,74 მ. ჯ. კარლოსმა (აშშ) 60 იარდი 6,1 წამში გაირბინა. 500 იარდზე რბენაში დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა ამერიკელმა მძლეოსანმა ქალმა კ. ჰემონდმა — 1.06,3. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტი ჩი ჩენი 632 სანტიმეტრზე გადახტა.

## ბოლო მედლები

**ვალ-გარდენა, 16 თებერვალი.** ფრანგმა სამთომოთხილამურემ, 18 წლის მიშელ ჟაკომ ყველას აჯობა აქ დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის ალპურ სამჭიდში. ვაჟთა შორის სამჭიდში ოქროს მედალი მოიგო ბ. კიდმა (აშშ).

სწრაფდაშვებაში გაიმარჯვეს შვეიცარიელმა ბ. რიუსიმ და კანადელმა სპორტსმენმა ქალმა ბ. კლიფორდმა. ამ სახეობაში მოსკოველებმა ნ. მერკულოვამ და ა. ისაკოვამ შესაბამისად 42-ე და 45-ე ადგილები დაიკავეს. მოსკოველი ა. ტორმოსინი სამჭიდელთა მეორე ათეულში შევიდა.

## პელემ სწავლა დაიწყო

ბრაზილიის ფეხბურთის ვარსკვლავი ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, საყოველთაოდ ცნობილი პელეს სახელით, ფიზიკური აღზრდის სკოლაში შევიდა, რათა მაღალკვალიფიციური მწვრთნელი გახდეს. ფეხბურთის მოყვარულთა კრებამ სხვა პრეტენდენტებთან ერთად ჩააბარა მისაღები გამოცდები. თავდაპირველად იგი გამოვიდა „ფიზკულტურულ" დისციპლინებში — 60 და 800 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში. ამ საგნებში მან უმაღლესი შეფასება მიიღო.

სტადიონზე გამოცდის შემდეგ პელე გაემართა კლასისკენ, სადაც წერითი გამოცდა უნდა ჩაებარებინა მათემატიკაში. პროგრამა 20 შეკითხვას მოიცავდა. კლასიდან რომ გამოვიდა, პელეს ოფლი ასხდებოდა და აღიარა, რომ გამოცდა „ძალიან, ძალიან ძნელი იყო".

უკანასკნელად ცნობილი ფეხბურთელი სკოლის მერხზე იჯდა 12 წლის წინათ, როცა 16 წლისა იყო.

ახლა ყველაფერი უკან დარჩა. მორიგ მატჩში პელემ, თითქოს სწავლის დაწყებას აღნიშნავსო, მეტოქეთა კარში 1007-ე გოლი გაიტანა.

**ახალი მოვლენები**



ლოს-ანჟელესში უმძიმესი წონის პროფესიონალმა მოკრივემ, მექსიკელმა რუბენ ოლივარესმა მეორე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ინგლისელ ალენ რადკინს და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ეს 21 წლის მექსიკელის 54-ე გამარჯვებაა.

ს უ რ ა თ ზ ე: რ. ოლივარესი.

## სტუდენტები პრაქტიკაზე

თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში სასწავლო პრაქტიკას გადის ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელ სტუდენტთა ერთი ჯგუფი. ჯგუფს ხელმძღვანელობს ამ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ღლონტი. პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელია ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი ა. რატია.

მალე მომავალი პედაგოგები — ნ. ფარულავა, ა. გეგეჭკორი, ვ. ფოჩხიძე, ი. დემეტრაშვილი, მ. თანდაშვილი, პ. მიქიაშვილი და რ. გალოგრე დამოუკიდებლად ჩაატარებენ გაკვეთილებს.

გ. გოგინაშვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04154